

შპს ბოჰემა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	6-17

შპს ბოჰემა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	Note	31-12-20	31-12
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე		46,150	31,
ძირითადი საშუალებები	3	752,287	853,
		798,437	884,
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	677,189	34,
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	23,388	90,
მისაღები პროცენტები		5,605	
მარაგები	6	110,677	110,
		816,859	235,
მთლიანი აქტივები		1,615,296	1,120,
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		302,000	302,
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		100,872	370,
		402,872	672,
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	804,660	
		804,660	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	226,111	352,
გადასახდელი პროცენტი		174,727	94,
მოკლევადიანი სესხები		0	
საგადასახადო ვალდებულებები		6,925	
		407,763	448,
მთლიანი ვალდებულებები		1,212,423	448,
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,615,296	1,120,

დირექტორი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ბოჰემა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
ამონაგები	9	1,126,463	2,968,500
თვითღირებულება		(372,523)	(1,200,000)
საერთო მოგება		753,940	1,768,500
სხვა შემოსავლები	10	66,478	30,244
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(833,874)	(1,525,828)
სხვა ხარჯები	11	(210,407)	(74,639)
საოპერაციო მოგება		(223,863)	198,277
ფინანსური შემოსავალი		5,058	547
ფინანსური ხარჯი	12	(50,410)	(44,415)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(45,352)	(43,868)
მოგება დაბეგვრამდე		(269,214)	154,409
მოგების გადასახადი			-
პერიოდის მოგება		(269,214)	154,409

დირექტორი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი

შპს ბოჰემა
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	73,300	-370	72,930
			-
მოგება წლის ბოლოს	-	(13,578)	(13,578)
სხვა სრული შემოსავალი	103,000		103,000
პერიოდის სრული შემოსავალი	103,000	(13,578)	89,422
			-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	176,300	(13,948)	162,352
			-
მოგება წლის ბოლოს	-	229,625	229,625
სხვა სრული შემოსავალი	125,700		125,700
პერიოდის სრული შემოსავალი	125,700	229,625	355,325
			-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	302,000	215,677	517,677
			-
მოგება წლის ბოლოს	-	154,409	154,409
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	154,409	154,409
			-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	302,000	370,086	672,086
			-
მოგება წლის ბოლოს	-	(269,214)	(269,214)
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(269,214)	(269,214)
			-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	302,000	100,872	402,872

6

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: კომპანიის ბუღალტერია აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმო ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსურ ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებ რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფები მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდებ სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივები თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრები მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებულ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდებ დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს როგორცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდე შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთა დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებ გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსურ ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალურ ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალურ ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ ა მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ ა მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ა ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა -3

ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერუ ლი ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპორ ტო საშუალება	არამატერიალუ რი აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	526483	2589	354328	13016	1683	898098
შემოსვლა	104753	5358	18508	-	-	128618
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	91488	209	78797	2407	396	173296
31 დეკემბერი 2019	539748	7737	294039	10609	128	853420
შემოსვლა	77711	-	1081	-	1,178	79969
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	96956	209	80919	2407	612	181103
31 დეკემბერი 2020	520503	7528	214200	8202	1853	752287

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	676960,05	5000,38
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	228,72	29090,05
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
სულ	677188,77	34090,43

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნა ბანკიდან ჩასარიცხ თანხებზე	-	5921,79
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	2324,92	3494
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	21062,76	58847,17
სულ	23387,68	68262,96

შენიშვნა 6

მარაგები

	2020	2019
საქონელი	110677,08	8952,05
ინვენტარი	-	101381,51
საქონელი მ/ს	-	120,61
სულ	110677,08	90789,26

შენიშვნა 7

სესხები

	2020	2019
გრძელვადიანი სესხები	0	0
სულ	0	0

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019	
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	200949.59	298044.89	
მიღებული ავანსები	9363.50	15993.25	-
გადასახდელი ხელფასი	1329.49	18240.62	-
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე		12592.05	
საპენსიო შენატანი	14468.64	11780.15	-
სულ	226111.22	352990.11	

შენიშვნა 9

ამონაგები

	2020	2019	
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	1126463.05	2968500.27	-
სულ	1126463.05	2968500.27	

შენიშვნა 10

სხვა შემოსავალი

	2020	2019	
მარკეტინგული მომსახურება	14488.62	3834.16	-
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	0	15301.38	
კონვერტაციის შედეგი (მოგება)	0	0	
არასაოპერაციო მოგება	237.40	2328.74	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	51752.37	8779.46	-
სულ	66478.39	30243.74	

შენიშვნა 11

სხვა ხარჯები

	2020	2019
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	192625.69	74202.21
კონვერტაციის შედეგი (ზარალი)	0	0

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17781,52	436.9	-
სულ	210407.21	74639.11	

შენიშვნა 12

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	(50409.64)	44414.97
საპროცენტო შემოსავალი	5058	547,28
სულ ფინანსური დანახარჯები	(45351.64)	44962,25

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის პანდემიის გამო კომპანიამ მიიღო დიდი ზარალი;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 14 იანვარი;

დირექტორი:

